**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის**
**ოქმი №76**

6 სექტემბერი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, მიხეილ კაკაურიძე, თამარ ჩახვაშვილი.
**მოწვეული სტუმარი:**
საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე
**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**
**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**
**სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.**
**დღის წესრიგი**
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**№11-01242483416 საკრ.№15-03242491-03 (05/09/24).**
**დღის წესრიგი დამტკიცდა.**
გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე პროგრამის „გზების მოვლა შეკეთება“ (პროგ/კოდი 01 01 01) წლიური გეგმა იზრდება 600 000 ლარით, შესაბამისად მცირდება პროგრამის“ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია“ (პროგ/კოდუი 01 02 05) წლიური გეგმა.
იზრდება პროგრამის „ საინჟინრო ნაგებობეის და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი 02 01)წლიური გეგმა 400 000 ლარით. შესაბამისად მცირდება პროგრამის „ავარიული სახლების ჩანაცვლება“ (პ[როგ/კოდი 02 01).
ასევე იზრდება პროგრამის „საპროექტო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებგები“ (პროგ/კოდი 02 03 01) წლიური გეგმა 130 000 ლარით, შესაბამისად მცირდება „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რებილიტაცია“ (პროგ/კოდი 02 05)წლიური გეგმა.
აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ქალაქის მასშტაბით გზების კაპიტალური შეკეთების, სანიაღვრე სადრენაჟე და სარეაბილიტაციო ქსელის მოწყობისა და აღდგენა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და პროექტირების სამუშაოებისათვის.
წარმოდგენილია ასევე რაიონული გამგეობების მიერ წერილობით მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.
შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე იზრდება მესამე კვარტლის გეგმა შემდეგ პროგრამებში:
„გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 08)-500 000 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 10)- 109200 ლარით
„გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 13) 530 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 13) – 347 594 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 14)- 422313 ლარით
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 17) 370 000 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით იზრდება პროგრამის „დაავადებათა სკრინინგი“ (პროგ/კოდი 06 01 02) მესამე კვარტლის გეგმა 166000, მცირდება პროგრამის „ტრანსპლანტაცია“ (პროგ/კოდი 06 01 13)- 166 000 ლარით.
საერთო ჯამში გადასახდელლების მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 463 007 ლარით. დაბალანსება ხდება შემოსავლების მესამე კვარტლის გეგმის 742 491 ლარით ზრდისა და ნაშთის (-279 484 ლარით) ცვლილებით.

**მომხრე-6**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული

პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

**სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე** **ირაკლი ხელაძე**